№ 168. 10 აგვისტო, კვირა — 1866—1880 — 10 აგვისტო, კვირა. № 168


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**რედაქცია**

რუსთაველის პროსპექტზე, სასახლის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ თუმანიშვილის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

„დროება“-ში „ივერიის“ რედაქციაში. გარე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи Дроэба-Иверія.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე | „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| | „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

**ფასი განცხადებისა**

ერთი სტრიქონი ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოთი — ორჯერ ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.


1 აგვისტოდამ წლის დამლევამდინ

## დროება

ღირს ოთხი მანეთი

## ივერია

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი

# ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 8 აგვისტოს (ოფიციალურად) უმწენესად ნაბრძანებია 1) უმაღლესი განმგებელი კომმისია დაიხუროს და საქმეები შინაგან საქმეთა მინისტრს გადაეცეს; 2) მესამე განყოფილება გაუქმდეს საქმეები შინაგან საქმეთა მინისტრის განმგეობაში გადავიდეს.

შანხაი. (ოფიციალურად) ჩუნ-ხოუ სრულიად განთავისუფლეს.

პეტერბურღი, (ოფიციალურად) მაკოვს დესტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა მიეცა და დაინიშნა: ფოსტის და ტელეგრაფის მინისტრად, უცხო სარწმუნოებათა დეპარტამენტის მთავარ-უფროსად; მინისტრების კომიტეტის საქმეთა მმართველს ტაინი სოვეტნიკს კახანოვს დესტვიტელნი ტაინი სოვეტნიკობა მიეცა და შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად დაინიშნა; შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი მარტონოვი სამსახურიდამ დათხოვნილია და სენატში დამსწრემჯდომარედ დაინიშნა.

## თახშირის გადახდა ბათომის მაზრაში

ტფილისი, 8 აგვისტოს.

„დროების“ 165 ნომერში დაბეჭდილი იყო ბათომის გუბერნატორის განცხადება, რომელიც ხალხის დასამშვიდებლად გამოვიდა, რომ ტყუილ ხმებს და ჭორებს ბოლო მოუღოს, მართალი და სწორე ამბავი გააგებინოს ხალხსა და რუსის მმართებლობის სურვილი შეატყობინოს. ჩვენ გამოვაცხადეთ რომ ამ განცხადებას ყველა სიამოვნებით წაიკითხავს; იმედი გვაქვს რომ ბათომის მაზრის ხალხი კეთილ-გონიერათ მოისმენს, გულს დაიმშვიდებს და თავის მამა-პაპის ადგილ-მამულს არ დასტოვებს.

მთელს განცხადებაში ის აზრია, რომ მმართებლობა ხალხისთვის კეთილი მზრუნველი და მფარველი იქნება და აწ უწინდელზე უკეთესს ყოფას უნდა მოელოდეს.

ამ განცხადებაში არის მოხსენებული, რომ ძალიან ფუხარას და შეუძლებელს თახშირი (ხარჯი) არც კი გამოერთმევა, სადაც შეკლებული კაცია, იქ შეძლების-და-გვარად გამოერთმევა, მაგრამ ოსმალოს დროს გადასახადზე კი ნაკლები იქნებაო.

მხოლოდ ერთი ცვლილება იქნება: ოსმალოს დროს და ახლა რომ თახშირი ერთმეოდა ხალხსა, ეს თახშირი ან ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ხარჯი ფულათ კი არ ერთმეოდათ, იგი მოსავლით ერთმეოდათ. დადებული იყო რომ რაც მოსავალი მოსდის კაცსა იმ მოსავლიდამ წილი უნდა ეძლია მოსავლითვე; აი ვთქვათ სიმინდის მოსავლიდამ სახელმწიფოთ დადებული წილი სიმინით უნდა ეძლიათ და სხვა ამ გვარათვე.

ახლაც ისევ მოსავლის კვალობაზე იქნება ამ წილის აღება, მაგრამ ფულათ იანგარიშებენ და ფულით აიღებს მთავრობა. რასაკვირველია მოსავლის ფასი ხომ სხვა და სხვა ადგილს ერთ გვარი არ არის, გადასახადი ფულით სხვა და სხვა იქნება. აი ვთქვათ ქობულეთში ბათმანს სიმინდს სხვა ფასი აქვს, აჭარაში სხვა, ლივანაში სხვა; ფულათ გადასახადიც უეჭველათ ამის კვალობასე უნდა იყოს.

ამ ფასის დადებაში უეჭველია რომ სიფრთხილეს იხმარებენ და მეტს ფასს არ დანიშნენ. ყველა ადგილს ყოველ სოფლის მეძლექეთი, ხალხი და მუხთარი (მამასახლისი), და ამასთან მეჯლიშები კარგა განიხილავენ, რომ ფასი მართალი იყოს და არამც და არამც მეტი არ დასდვან.

ეს ერთი საჭირო რამ იქნება თახშირის ფულად ანგარიშის დროსა.

მეორე საფიქრებელი და მოსააზრებელი საქმე ის უნდა იყოს, რომ ბათომის სანჯახის ზოგიერთს კუთხეში ფული ძალიან იშვიათია და სოფლის კაცებს ბევრჯელ ერთ-ორ მარჩილს (შაურს) ვერ უპოვით. ეს იმისგან არის რომ გზები ჯერ არ არის გაკეთებული, რომ სოფლის კაცმა სადმე წაიღ-წამოიღოს თავისი მოსავალი გასაყიდათ და ფარა (ფული) იშოვოს. ამისთანა კუთხეები ბევრია. რასაკვირველია ამ გარემოებას ყურადღების მიქცევა უნდა და იმედი უნდა ვიქონიოთ რომ სადაც ფული არ არის, იქ თახშირს კიდევ მოსავლით აიღებენ.

მაგრამ განცხადებაში მოხსენებული არ არის, რომ თახშირის გამორთმევა ფულად ეხლავე იქნებაო. იქნება ჯერ კიდევ ბევრმა წელიწადებმა გაიაროს სანამ თახშირი ფულად გამოერთვას. როდესაც ხალხში ვაჭრობა დეიწყობა, გზები გაკეთდებოდის და ფულის შოვნა გაადვილდება, იქნება იმ დრომდე დარჩეს იგი წესი, რომ ვისაც უნდოდეს ფულად გედიხადოს და ვისაც ფული არ ჰქონდეს, ისევ მოსავლით გედისადოს. ჩვენ მხოლოდ ეს მოვიხსენეთ იმიტომ, რომ ეს საქმე ყურადღების მიქცევის ღირსია.

# ფელტონი

დუდუკი.

აბა, ჩემო დუდუკო, ერთი დავქროლოთ ზემო-ქართლს! გული მაგრათ შეინახე, არავისი არ შეგეშინდეს, ფარისევლურათ მუხლი არავის არ მოუდრიკო, სძლიე შეუპოვარი, განსდევნე ყოველი ბოროტმოქმედება, წამხდარი ყოველი კაცის დამამცირებელი ბიწიერება და ჩაუდექ კრიჭაში უსამართლობას! ეს არის შენი დანიშნულება და ამიტომ იცოდე, რომ „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის გამოგზავნა ქვეყნად ცამა“!..

ზადაველოთ მთანი, მინდვრები, წყლები, ღრეები; დავხედოთ ჩვენ მოძმეთ: კეთილთ მივესალმოთ და ფიანდაზათ გავშალოთ გული, ბოროტთ... ბოროტთ „ლაგამი ჯოჯოხეთისა“!! დავაკვირდეთ ჩვენ ხალხს: ის სცხოვრობს, სულდგმულობს, მოძრაობს, ებრძვის დაუდგომელ წუთი სოფელს, ომობს, ქლეტს ერთი ერთმანერთს... როგორ თუ ქლეტს?! ეს რაღა არის? ნუ თუ ომი წინაალმდეგ უსამართლოებასა უკვე დაწყობილია?! არა, არა! მოიცა, მკითხველო, ნუ ეჩქარები, ჩვენ ხალხს ამ ომისთვის არა სცალიან, — ის ემბება ბახუსის მონაგარს და დიდი ძალაც გამოუჩენია! აი ყური დამიგდე.

„ფერის-ცვალება“ დღეა. შეგეწიოსთ მისი მადლი, დიახ დიდი და პატივ-საცემი დღეა“! ამ დღეს ყოველი მართ-მადიდებელი ქრისტიანი მიეშურება სადღესასწაულოდ, სადაც კი არის ტაძარი წმინდის „ფერის-ცვალებისა.“ ერთი ამ გვარი ეკკლესია არის სოფ. რუისში. დიდ-ძალი ხალხი შეკრებილა სალოცავად. ამათაც ფერი უცვლიათ (პირველი — ჭკუა-გონება დაუკარგავთ). ყაჩოსავით აწითლებულან ღვინით, ზურნადაფით და არღნებით დაეირნობენ!

მაგრამ ეს ძალიან ცოტა არის! ესეთი ქეიფი და დროს გატარება არა კმარა; საჭიროა, რომ ამ ბედნიერ დღეში ადამიანის სისხლიც დაილევაროს! ეს უწუხებს მოქეიფეთ გულს, და მალეც აასრულებენ!..

ექვსი კაცი (ოსები) სმენ ღვინოს ერთ ბორელ მიკიტნის კარავთან. შეისრულებენ რა ერთ თუნგს, წამოდგებიან და მიდიან! მიკიტანი ეუბნება:

— „ძმობილებო, ფული არ მოგიციათ, გამისწორდით და ისე წადით“:

ერთი ამათგანი მკაცრად უპასუხებს:

— „რას გაგიზდა სე ძაღლი მამა... რა ფული უნდა მოგცეს?!

მიკიტანი: — შვილო, ძმაო, არაფერი მოგიციათ, რა ატკაზსა შვრებით“?!.

რაღა გავაჭიანუროთ, ოსები ფულს არ აძლევენ, ეუბნებიან, მოგეცითო და მიდიან! მიკიტანი ეხვეწება, მომეცით, რათ გინდათ ჩემი ცოდოვო! ერთ მათგანს ამ დროს მართლა ოსური გული მოუვა და ერთს ძალიან შემოჰკრავ მიკიტანს! მიკიტანი ხელს შეუბრუნებს, „როგორთუ შენ ეს გაბედეო“, მისცვივდებიან, ბატონო, ეს ოსები ამ ერთ ქართველს, წაიქცევენ ფეხ-ქვეშ და, როგორც არ გინახავთ, ჰარისას რომ ნაყავენ ხოლმე, სწორეთ ისე დაუწყებენ წიხლით ცემას თავ-პირში და მუცელში! უწყალოდ სცემენ ჭ სთელამენ ამ მიკიტანს!.. ამ დროს მიკიტანს მოეშველებიან რამდენიმე ბორელი ბიჭი და დაეტაკებიან ოსებს! ამ უკანასკნელებსაც მოძმები მიეშველებიან. შეიქნება ომი ფიცხელი ოსებსა და ქართველებს შუა! ზამშველებელი არავინ არის, ყველა ბრძოლაში იწევს;. რამდენიმე წამიც და მუშტის კრივი შეიცვლება კომბლების და დიდრონი კეტების ტრიალით! ასეთი ბაგა-ბუგი მოისმის, რომ გეგონებათ, ამ კეტებს კაცებს კი არა, გაბერილ რუმბებსა სცემენო!.. მოხვდება ვისმეს თავში, ეს ქათამივით დარეტიანებული წავა და ტალახში წაჰყოფს თავს, წამოხტება და ხელ-ახლა იწყობს ბრძოლას! მითომც არაფერიაო!! მკითხველო, თქვენ არაკივით მოისმენთ ჩემ მოხსენებას და იქნება არაფერი მნიშვნელობა არ მისცეთ; მაგრამ, თუ წარმოიდგენთ, რომ ეს რკინის ხალხი სცემდა ერთ-მანეთს დაურიდლათ ჯოხებს კი არა, დიდროვან კომბლებს და საძნე ურმის უკანა კოფოს, მხოლოდ მაშინ იტყვით, რომ სახუმრო ბრძოლა არ ყოფილა!

ეჭვი არ არის, რომ როდესაც ხალხში ფული იტრიალებს თვითონ ხალხი მოისურვებს ყოველი ხარჯი ფულად გადახდეს. დღეს ქართლ-კახეთში, იმერეთში, გურიაში და ყველგან სადაც კი გადასახადი მოსავლით დარჩენილა, ხალხი აწ ცდილობს რომ სულ ფულად შეუცვალოს ყველა გადასახადი. ადრე ფულით გადახდა უჭირდა, მერე რა კი გზები გაკეთდა, ვაჭრობა გაიმართა და სოფლის ხალხმა ფული იშოვნა, აწ ფულის გადახდა ურჩევნია, მოსავლით გადახდას.

ბათომის მაზრაშიაც ასე იქნება. როცა ფული გახშირდება იქაური ხალხიც ფულით გადახდას ისურვებს და ადვილად შეეძლება.

მაგრამ სანამ ჯერ ფულის ნაკლებობაა იქაურ ხალხში სხვა მეტი ღონისძიება არ იქნება, ისევე თახშირი ჯერ-ჯერობით მოსავლით უნდა აიღებოდეს. მხოლოდ ვისაც უნდოდეს ფულად შემოტანის ნება მიეცეს.

ეს აზრები საჭიროთ დავინახეთ გვეთქვა, იმიტომ უმეტესად რომ გუბერნატორის განცხადებაში მოხსენებულია, ფულად შეცვლა თახშირისა იმიტომ მოხდებაო, რომ **ყველას გაუადვილდეს"** თახშირის გადახდაო. მაშასადამე მთავრობის სურვილი ის არის, რომ თახშირის გადახდა გაუადვილოს ხალხსა და ჩვენი აზრიც ამავე სურვილით მოვიხსენეთ.

## ახალი ამბები

—

სოფ. ურიათ-უბნიდამ გვწერენ, რომ იქ და ველის ციხიდამ გამოყოლებული ვაჩნაძიანამდი ს[illegible] ოთხ-ხუთს სოფლებში „ორშაბათობით"-აც სცოდნიათ უქმობა. კორრესპონდენტის სიტყვით ეს უქმობა მხოლოდ გლეხების ცრუ მორწმუნოებას მიეწერება, რომლის წყალობითაც წრეულს ას თუმანზე მეტი ზარალი მიეცა მარტო ურიათუბანსო.

* * *

„მშაკის" კორრესპონდენტი სწერს სპარსეთიდამა, რომ აქ პური ისე გაძვირებული იყოვო, რომ ხალხს უჭირდა ყიდვაო. აქამდის ლიტრა მანეთათ იყოვო და ეხლა თეირანში ლიტრა (ჩვენი ფუთია) 50 კაპ. არისო. დალოცვილი ჩვენში მაინც იყოს ფუთი მანეთი.

* * *

„მეღუში სწერენ, რომ ზანგის დამხმარებელის კამიტეტს ამ ჟამად 20,000 მანეთი აქვსო, რომლით დახმარებასაც აპირებენო.

* * *

ამ დღეებში ჩვენ მივიღეთ ერევნიდამ ერთი ახალი სომხური გაზეთის ნომერი „პსაკ" „გვირგვინი", რომლიდამაც დღეის შემდეგ ცნობებს მოვიყვანთ „დროებისთვის". რედაქტორათ ბატ. პაპაჯანიანცია.

* * *

გორის მაზრიდამ გვწერენ:

ქალიას მართალია გადავრჩით, მაგრამ რამდენიმე სოფელი შეიქნა მსხვერპლად სეტყვის, რომ ნახოთ ქარელი, სალოლაშენი, წვერი, ბრეთი და სხვა სოფლები ამას ბრძანებთ შემოდგომა არისო. ეს კიდევ არაფერი, ნაწილს ეზარალა; მაგრამ ერთი მტერია, რომელიც საზოგადოთ მავნებელია და სიძვირის ჩამომგდებია. აგერ რაც რკინის გზა გაკეთდა რაღაც ალაფები ქვიანთ, საცა სუქანი და ლიპიანი ვაჭრები, სომხები, სულ აქეთ დაიარებიან. რაც კი მოხვდებათ ხორაგეული, კარგია თუ ცუდი, ერთმანერთის ჯიბრით უმატებენ ფასებს და მიაქვთ ერთს ალაგას, როდესაც გაძვირდება შემდეგ გაყიდიან; ამ ცოტა ხანში ისე გაგვიხდიან საქმეს, პური რომ დაგვაკლდეს ქალაქს თუ ჩამოვალთ თორემ აქ ველარ ვიშოვნით. ერთი სიტყვით ამ პირებსაც, როგორც კალიებს ორმოებს უკეთებდნენ ისე უნდა მოვუთხაროთ, თორემ ჩვენი საქმე ცუდზე უფრო ცუდი იქნება, თუ მათ რიცხვს კიდევ მოემატა.

* * *

იქიდამვე გვწერენ:

ბ. გუბერნატორს მაზრის უფროსებისათვის მიუწერია ერთი სასიხარულო განკარგულება, რომ ქირნახულები და სხვა რაიმე საზდოება არავის შეუძლიანთ ალაფებს მიყიდონ, უნდა თითონ ქალაქს ჩაიტანონ და მეიდანზედ გაყიდონ, რასაკვირველია მაზრის უფროსმა გამოაცხადა ზოგიერთ სოფლებში. ახლა საქმე მაზრის უფროსებზედ არის დამოკიდებული, თუ ის ნამდვილათ, მაგრათ მოეკიდა, სწორეთ საზოგადოთ შემატება იქმნება. სულ ერთი კვირა არის რაც ეს ამბავი გაიგეს და ეხლავე ფუთზედ ორი აბაზი დაიკლო ქირნაგულმა.— ახლა ამ ბოროტთ ალაფებს აუყვანიათ აქაური ურიები, მედუქნეები და ზოგიერთი კეთილ-შობილებიც გაუხდიათ ამხანაგათ, რომლებსაც აქ აყიდვინებენ და თითოს ქალაქშიდ გაყიდიან და მოგებას შუაზედ გაიყოფენ; თუ ამათაც არ აღეკრძალათ ისევ ალაფები იქმნებიან.—ნეტავი არ იქნება გამოჩნდეს ვინმე და ბ. გუბერნატორს შეატყობინებდეს, რომ ამასაც წამალი დადოს და ამოკვეთოს. ჩემის აზრით ქალაქის სადგურში უნდა იყვის დაყენებული კეთილ-სვინდისიანი კაცი, ვინც ჩაიტანოს ყური უგდოს, თუ მეიდანზე გაიტანა ხომ გარგი, თუ არა და როგორც წესია ისე მოექცეს. თორემ აქაური ვაჭრები იმას ამბობენ „მეიდანზედ ჩავიტანთო".

* * *

**გასწორება:** გუშინდელი №-ის პირველ ფურცელზე მეოთხე სვეტის მესამე სტრიქონში, ზემოდამ, გორის მაზრის პირველ განყოფილების მომრ. შუამავლის სახელი შეცდომით არის მოხსენებული ზ. უნდა იყოს ვ. (ვანო).

## ქურდობა სამურზაყანოში.

ვინ არ იცის თუ რამდენი უბედურება მოაქვს ხალხის ცხოვრებაში ქურდობას? ვინ არ იცის თუ რა ნაირათ ზნეობას უფუჭებს კაცს ეს სენი დამამხობელი ხალხის პატიოსნების, სენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის დამარღვეველი, მისი ზნეობის და ჭკუის გამაფუჭებელი? რას უნდა მიეწეროს ეს სენი? რა აქეზებს ჩვენში ქურდობას? ჩვენი თავად-აზნაურობა ბატონ-ყმობის გარდასვლის შემდეგ დარჩა სალოდავათ: მუშაობა ვერ შეიძლო, მიწამ თავისით ნაყოფი არ მოუტანა, პირადად ფული ყმებისაგან არ მიუღია; რაც ჰქონია წინეთ მონაგები შამოელია, დახარჯა; შევიწროვდა, დარჩა ყიარალოთ, უცხენოთ. წამოეწია ახალგაზდობა, იმას უნდა ჩაცმა-დახურვა, თოფ-იარაღი, ცხენი: მუშაობას არ მიჩვია, ერთი სიტყვით, გაიზარდა მთელი ჯარი ახალ-გაზდა ცხოვრებისათვის მოუმზადებელი. რა უნდა ექნა ამ ახალ-გაზდობას, რომ შიმშილით და სიცივით არ მომკვდარ იყო? სწორეთ ქურდობა უნდა დაეწყო, რადგან ეხლა საშვალება დარჩა იმას, კიდევაც მიჰყო ხელი და დღეს იქამდის მივიდა საქმე, რომ ამ ქურდობის ჩვენში ბევრს სულის მეტი არა შეარჩინეს რა, ხან-დის-ხან იმასაც ვერ იმეტებენ. ქურდობის სიყვარული სამურზაყანოში ხალხის სისხლში და ხორცშია გამჯდარი; თუ არ ქურდობ, თუ არ ავაზაკობ ჩვენში კაცად არ

---

უეცრად მოხვდა კეტი ერთ ოსს და დასცა! წამოხტება, ბატონო, და ამ აუარებელს ხალხში, იძრობს ხანჯალს და დაერევა, სცემს, ვინც მიხვდე[illegible] ცოტა გაწყდა და თქვენი ბედნიერი ფელიტონისტსაც არ წამოუსვეს ხანჯალი!.. დაიჭრა ერთი ორი... სამი,... ერთ კაცს მთელი მარცხენა ლოყა ჩამოაცალა და კბილები სულ გამოუჩინა!.. ამ დროს ამ გასხეცებულ ოსს ერთმა ქართველმა გლეხმა დასცხო თავში კეტი და წააქცია. ოსი კიდევ წამოხტა და კვალად ხანჯლის ტრიალი დაიწყო!..

რამდენიმე კაცის სიკვდილი უეჭველი იყო, თუ რომ ერთი ყოჩალი ახალგაზდა არ გამოჩენილიყო და არ ეტაცნა ხანჯლისთვის ხელი! ოსს წაართვეს ხანჯალი და გადაუგდეს!.. მეორე მხარესაც ესეთივე ბრძოლაა, რამდენიმე ხანჯალი იქაც ტრიალებს!.. ყოვლად შეუძლებელია სიტყვით გადმოცემა ამ მხეცურის მოქმედებისა!.. ქართველები მოამწყვდევენ ოსებსა და დაუწყებენ ცემას, აგრეთვე უკანასკნელები პირველებს, გამშველებელი არავინ არის!

დაიჭრა თხუთმეტი კაცი, დაშავდა ოცზე მეტიც! ძალა შეუსუსტდათ, ჩხუბი ნელდება, ოსებმა ხანჯლებით გაიმარჯვეს, სჩეხს ქართველები და გაქცევასაც აპირებენ!..

მაგრამ ამ დროს მამასახლისის კიჟინა — „დაიჭირეთ ყველანი"- უეცრათ განისმა და მისცვივდნენ ოსებს. ხანჯლები წაართვეს და ხუთი კაციც დაიჭირეს. მამასახლისმა ხანჯლები შეინახა და ეს ოსებიც დაატუსაღა, ვიდრე წარუდგენს უეზდის უფროსს!..სისხლში მობასრულებს საშინლად აწუხებს დაჭრილობა, ზოგს გული ულონდება და წყალს ასხმენ, ზოგს ჰაიარათ უხვევენ დაჭრილობას!

ხალხში სიჩუმე! ამ ბრძოლის შემდეგ დასვენება მოუნდათ! მამასახლისმა საქმე გამოიძია და ქაღალდიც შეადგინა, რომ დამნაშავენი უეზდის უფროსს წარუდგინოს!..

შევხედოთ, ცხენს მოაკუნკულებს სათვალებიანი, კაკარდიანის ქუდით კნიაზების „ანაფხეკა" დ. ც—შვილი, უკან მოსდევენ თავის ადიუტანტები აზნაურები, რომლებშიაც ყველაზედ დაახლოვებულია მის ბრწყინვალებასთან დ. აეთ—ძე ბ—ვი მთვრალი, როგორც ხარაზი ეგნატე მის ბრწყინვალება კნიაზების „ანაფხეკა" ყვირის: „სად არიან დამწყვდეული ოსები"? გლეხებმა უჩვენეს. „დამიძახეთ სტარშინას"! მამასახლისი მოვიდა. დაუწყო, ბატონო გინება ისეთის ურცხვი და უზრდელი სიტყვით, რომელიც არამც თუ კნიაზს, ჩვენი ხალხის წარმომდგენელს არ შეჰფერის, უკანასკნელ გაუნათლებელ მთის კაცსაც!! „როგორ გაბედე შენ...... ეუბნება მამასახლისს, რომ ჩემი ოსები დაატუსაღევო"?! (ეს ოსები ამ კნიაზის ხიზნები ყოფილან). დაუწყეს ამ კნიაზმა თავის სვიტით გლეხებს მათრახებით ცემა!.. ხმის გამცემი ვინ არის?! ბოლოს ეს ბრწყინვალე დ. ც—შვილი მივარდა მამასახლისს და იმდენი ურტყა, სანამ მე და ჩემი მკითხველი მივეშველებოდით; ცხვირ-პირში სულ სისხლი ადინა!.. ბოლო დატუსაღებულ ოსებს კარები, გამოუშვა და თან უთხრა: „ბაუსვით მაგ მამა..... გლეხებს ხელი და სულ გაჟლიტეთო"!! ბაირეკა ეს ოსები წინ და სახლში წაიყვანა!!

ამ ნაირათ გაასამართლა საქმე კნიაზების „ანაფხეკამ"!..

როგორ მოგწონს, მკითხველო, ამ გვარი ქცევა?.. როგორ მოგწონს იმის სიტყვები: — გლეხი იმიტომ არის გაჩენილი, რომ ძაღლებივით უნდა ვხოცოთო?! ნუ თუ ჩვენი მართებლობა ამას ყურადღებას არ მიაქცევს?! როგორ შეუძლიან ამ ჭკუის უბედურს მამასახლისის, მთელი საზოგადოებისგან ამორჩეული კაცის ცემა, იმ კაცის, რომელსაც მართებლობისგან მიცემული ნიშანი (მედალი) გულზედ აქვს და ამტკიცებს, რომ ეს კაცი მთელი სოფლის წინამძღოლია და პასუხის გამცემი?!

ვინ უნდა უზღოს სოფ. ოცამდის დაკოდილი კაცი?! რა ნება აქვს მამასახლისისგან დატუსაღებული მავნე პირები თავის ნებით გაანთავისუფლოს?! შეუძლიან იმას ყველა ამაში პასუხის გება? ვაი თუ ვერ შეიძლოს?!.

აფსუს საქართველოს თავადის შვილებო, რომ ამისთანა „ანაფხეკეები" გიფუჭებენ და გიმცირებენ სახელს!!

—

გრაცხენ. თუ გინდა ხალხში გაელენა იქონიო, თუ გინდა იმისი ერდგულება და პატივის ცემა დაიმსახურო, უთუოდ უნდა იყო გამოჩენილი ქურდი. მაშინ შენი გროლიაშამო იკრიფება მთელი ახალ-გაზდობა, შენ შეიქნები იმათი თავი, იქნები იმისი ბრძანებელი, გეყოლება ყველგან სამურზაყანოში, აბჟუაში და ოდიშში შენი აგენტები, რომელთაც შენი ჯარის შემწეობით უგზავნი იმათ ცხენებს, კამეჩებს, ძროხებს და სხ. ისინი იქ ასაღებენ რა ეკადრებათ ღებულობენ, დანარჩენს შენ გიგზავნიან; შენ კი, ვითარცა ჯარის უფროსი, ურიგებ მას თავის წილს, ძალასაც ხმარობ, ხან-დის-ხან რაც ერგება არ აძლევ, როგორც ნამდვილი ჯარის კამანდირები, ძალაც შენ ხელშია და სამართალიც. ამისთანა გამოჩენილი ქურდები ერთი-ოცამდი მოიპოვება სამურზაყანოში, მარა ვინ რას გაუბედავს იმათ? ისინი ამორჩეულნი არიან საზოგადოების მცველად. რაც დაიკარგება იმას ხელში უნდა გაიაროს და მთხოვნელიც იმათთან მიდის: რა საკვირველია მთხოვნელი უკმაყოფილოთ რჩება, დაკარგული ემატება თავისგან ამორჩეულ მცველსა, მაშვინ გულ-ხელ დაკრეფილი ბრუნდება შინ და იტყვის „მეც დავიწყებ ქურდობას, რადგან მე მპარავენ“. ზავა და დაიწყებს ქურდობას იმავე მცველის შკოლაში, თავის დაკარგულ საქონეს ერთი-ორათ იბრუნებს. ასე გაშინჯეთ რომ ძვირათ იპოვნით თქვენ ჩვენში ახალ-გაზდა კაცს, რომ არ ქურდობდეს ქურდობს თავადი, ქურდობს აზნაური, ქურდობს თავ განწირული გლეხი, ქურდობს დიდი და პატარა.

ხალხის ამისთანა მდგომარეობას ბოლო დროს, როგორც ღირსი და კანონიერიც იყო, მიაპყრეს ყური ბ. მალინოვკის, ოჩემჩირის ოლქის მმართველმა და მისმა თანაშემწემ — სამურზაყანოის უჩასტკის მმართველმა. ბ. სამურზაყანოის მმართველმა შეკრიბა ივნისში მთელი სამურზაყანოის ხალხი დ. ოქუმში, განუმარტა თუ რა უბედურობა მომდინარეობს ქურდობიდამ და ურჩია რამე წყაროები მოენახა ამ ხალხის უბედურების მოსასპობლად, ქვემო მოყვანილი წესდებაები წარედგინათ იმისთვის და ბ. მალინოვსკისთვის. საზოგადოებას ბ. უჩასტკის მმართველის თხოვნა აუსრულებია და დაუწერია წესდებაები. ეს წესდებაები იყვნენ დაწერილნი ოქუმის მცხოვრების თ. ერისთავ ემუხვარისაგან და ბედიის მცხოვრები თ. გრიგოლი შარვაშიძისაგან. როცა მზათ იყო, ბ. მალინოვსკის მოახსენეს და ის მიბრძანდა სამურზაყანოში 7 ივლისს, დაიარა ყველა სოფლები, ხალხს უხსნიდა მისს აწყმყო მდგომარეობას, სთხოვდა შემწეობას ქურდობის მოსასპობლად. „თუ მოინდომებთ“, ეუბნებოდა ხალხს, შეგიძლიათ მხოლოდ თქვენ მოსპოთ ქურდობა; თქვენ იცით ვინ არიან თქვენში ავაზაკები, ქურდები, თქვენი საქმეა იმათი ჩვენს ხელში გადაცემა, ჩვენ კი კანონიერად დავსჯით, განგათავისუფლებთ იმათგან. თუ ვერ გაბედავთ იმათ დასახელებას, თუ შეგეშინებათ იმათი დაბეზღება, მაშინ ქურდობა მუდამ იქნება თქვენში მუდამ უბედური იქნებით, მუდამ ღარიბები და ლატაკებიო.“ საზოგადოება კი ყოველგან, როგორც მოგეხსენებათ, „კი ბატონო“ იძახდა, ოღონდ შემწეობა მოგვეციო. ს. დიხაზურგაში 10 ივლისს მობრძანდა ზუგდიდიდამ მაზრის მმართველი ბ. მიქაბერიძე. აქ ბ. მალინოვსკიმ და იმან მისცეს ერთმანერთს პირობა — შეეწიონ თავის რაიონებში ერთმანერთს, იხმარონ ყოველი ღონისძიება ქურდობის მოსასპობლად, აღწერონ საქონლები თავ-თავის მმართველობაში, უპილეთო საქონლები პატრონებს წაართვან, აღწერონ იმათი მნიშვნელობა, განაცხადონ ყველგან და ორი თვის განმავლობაში თუ პატრონი არ გამოჩნდა გაყიდონ. გარდა ამისა მისცეს ერთმანერთს სია გადავარდნილი და გამოჩენილი ავაზაკების, რათა ორნივემ სდიონ, ან დაიჭირონ და ან მოჰკლან. იმ დღესვე საღამოს ბ. მიქაბერიძე დაბრუნდა ზუგდიდში, მალინოვსკი კი წავიდა ოქუმში, სადაც 11 ივლისს დაბარებული ჰყავდა ყოველი საზოგადოებიდამ 10 კაცი წესდების განსახილავად. 11 ივლისს 9 საათზე შეიკრიბა საზოგადოება, მთელი ოქუმი სავსე იყო ხალხით. სანამ ბ. მალინოვსკი გამოვიდოდა, სანამ წესდებაები განხილულ იქნა, თ. ზურაბ ჩხოტუამ გამოუცხადა საზოგადოებას, რომ პეტერბურღში კავკასიის უმაღლესს მმართველობისთვის უთხოვია საზოგადოების მაგივრად, რათა სამურზაყანოის ახალგაზდობაში შედგენილ იქნეს ერთი პოლკი, რადგან ყმაწვილები უსაქმოდ დაეხეტებიან, ქურდობენ და ამისი მოსასპობლად. თუ შეიძლება ეთხოვოთ ოლქის მმართველს ამაზე გამეორებით მოახსენოს მართებლობას. საზოგადოებამ დიდი მადლი განუცხადა თ. ზურაბ ჩხოტუამ და იქვე დასწერა თხოვნა მმართველისადმი. 12 საათზე გამოვიდა ბ. მალინოვსკი, თხოვნა მიიღო და იმედი განუცხადა, რადგან ნამდვილად აპირობენ პოლკის შედგენას. მერმე წესდებაებს მიჰყვეს ხელი პირველად წაიკითხეს შორაპნის მაზრის წესდება, მაგრამ არ ვიცი რატომ, ჩვენებს არ მოეწონა, ბევრი ლაპარაკობდა, ჩვენთვის არ არის საჭირო იმათი წესდებაებიო, ჩვენი შედგენილი განარჩიეთო.

მართლაც, იმას თავი დაანებეს და ჩვენებიდგან შედგენილი წესდებაებს მიჰყვეს ხელი, წაიკითხეს წესდება ბედიის საზოგადოების შედგენილი. ამ წესდების მუხლები უმეტესი ნაწილი მოეწონა ხალხს. მერე წაიკითხეს წესდება თ. ერისთავ ემუხვრის, ეს წესდება უფრო ვრცელი იყო და მიიღეს. იმან სთქვა, რომ ნამესტნიკს წარუდგენო და როცა დაამტკიცებს, გამოგიცხადებთო, იქამდისინ კი ყარაულები დაიჭირეთო, რომ შემცირდესო ქურდობა.

გ. სამურზაყანელი

---

აი ეს პირობები.

1) ჩვენ სამურზაყანოს საზოგადოება ვალათ ვუდგენთ ყველა იმ პირებს ვინც არიან და იქნებიან შეწამებული ქურდობაში და ან ქურდის მფარველობაში, რათამც მათ მოეთხოვოთ პასუხი საქონლის პატრონისაგან და ან ამა ამორჩეულთ ცეფებისაგან, რომ არც ამათ მოეპაროს და არც იცოდეს ვინ მოიპარა ამ სახით შეუდგეს განჩინება.

2) ამა საზოგადოების ამორჩეულნი კეთილ სვინიდისიანი ვალდებულნი არიან მიხედულობისამებრ სიმართლისა, მისცენ ფიცი თვით ქურდობაში შენიშნულ და ქურდის მფარველ პირს, რომ თვითონ შეწამებულს პირს ნება აქვს მიიღოს ფიცი და თან ამოიყენოს ერთიდამ ოთხამდის სიმართლის მქონი მოფიცრები დაეფიცოს საქონლის პატრონს და ან ყარაულებს ესე იგი ცეფს როგორათაც პირველი და მეორე მუხლი აცხადებს.

3) ნებას ვაძლევთ ყველა საქონლის პატრონებს დასაფიცებელი პირები დააფიცონ ოჩამჩირის ოკრუგის სამში ერთი და ერთი ხატით ჩვეულებისა მებრ მათისა; ზუგდიდის უეზდში სოფელს ჭულკარს ალავერდის ხატით.

4) ვინც იქნებიან აღმოჩენილნი პირები მათ უნდა იქონიონ სახეში დაფიცება, ვისაც ფიცი შეხვდება საქმის განრჩევაში ერთიდამ სამჯერამდის ამ მოფიცრებთაგან, მაშინ იმ გვარი პირი მეორეხე ალაგს არ უნდა მიიღონ სამართლის პირათ და შეუძლია მომჩივანს დაითხოვონ იმ ფიცებით.

5) დაკარგული და ანუ მოპარული საქონელი რამოდენი ფასოვნების იყო ანგარიშით თუ მომჩივანს და მოპასუხეს უთანხმოება შეუდგება, მაშინ საქონელს პატრონი მიიღებს ფიცს მეტ ნაკლები დაფასებისთვის 1, 2, 3 და 4 პარაგრაფების ძალით ოჩამჩირის ოკრუგის სამ ხატზე ერთ და ერთზედ რათა მომეტებული ფასი არ ექნეს დადებული საქონელს.

6) საქონლის პატრონმა თუ ხარჯი განაცხადა და დაამტკიცა რამდენიც დაუხარჯავს დაკარგული საქონლის ძებნაში ფიცის მერე, როგორც იყო მოყვანილი მეხუთე პარაგრაფში მიიღებს, მაგრამ თავნის ოდენს კი არა, მარტო ორს ნაწილს მიიღებს და ერთი ნაწილი დააკლდება ხარჯს.

7) ვინც ქურდობაში იქნება გამტყუნებული იმან გარდა პატრონის დაკმაყოფილებისა უნდა გადიხადოს წვრილი ქურდობისათვის 5 მანეთიდამ 10 მანეთამდის; მსხვილი ქურდობისათვის 10-დამ 20-დის.

8) ამ შტრაფის ფული რამდენიც შესდგება უნდა იქნეს ნახევარი ამა საზოგადოების შკოლის სასარგებლოდ და ნახევარი ცეფის თანამდებობის პირების სასარგებლოთ — ისე, რომ უმცროს უმფროსის შესაფერათ გაიყოს.

9) ნამდვილი გამოტეხილი ქუდები გარდა ამ ორი შტრაფისა იხდიან კიდევ შტრაფს ძალისაგამო დაწესების გარდმოცემულისა 22 იანვრიდამ 1879 წელში სოხუმის ატდელშიგან ქურდობის მოსასპობლათ, რომელშიაც სწერია მესამე პარაგრაფში, სასამართლოს სასარგებლოთ.

10) საქმის ვანმარჩეველნი აღმორჩეულნი პირნი რადგანაც მოცდენილნი იქნებიან სამი დღე კვირაში პარასკევს, შაბათს და კვირას, ამიტომ მიიღებენ ყოველთვის ათის თავს განრჩეულის საქმისას მათგან მოგებული პირისგან.

11) უმოწმო ახალი შეძენილი საქონელი ნება არ აქვს იყოლიოს და თუ აღმოუჩნდა პასუხს აგებს ძალის გამო 22 იანვრის 1879 წელს გარდმოცემულის დაწესების, რომელშიდაც წერია 1, 2 და 3 პარაგრაფში.

12) ზოგიერთი საქონლის პატრონები ხშირათ შეურიგდებიან აღმოჩენილს ქურდს საიდუმლოთ, ამიტომ ქურდი თავის საქმეს რომ ცუდათ დაინახავს, გარჩევამდის ურიგდება საქონლის პატრონს საიდუმლოთ, აქიდამ იკარგება ჯერ სახელმწიფო შტრაფი, მერე ცეფის თანამდებობის კაცებს ეკარგებათ უდროის გასაცდენი ფული მესამე ქურდის დასჯა და მეორეხე ამა ჩვენი საზოგადოების შკოლის სასარგებლო ფული, ამისთვის ვალათ უდგენთ ამ გვარ მომრიგებელ პირებს თუ კი იქნებიან გამტყუნებული ისინი მიეცემიან პასუხის გებაში, ვითარცა ნამდვილი ქურდი და პასუხი მოეთხოვება ვითარცა ნამდვილ ქურდს ყარაულებისგან და ან ცეფებიდგან 1, 2 და 3 მუხლის ძალით.

13) ვინც ზემო დაწერილი განაჩენით გამტყუნდებიან ქურდობაში, იქნებიან გარდაყვანილი აქედამ სხვა გუბერნიაში. ვინც არის გამტყუნებული ერთხელ ის ერთის წლის ვადით გაიგზავნება, ორჯელ გამტყუნებული ორი წლის ვადით და სამჯერ გამტყუნებული არა უნაკლეს 5 წლის ვადისა მიხედულობისა მებრ მმართებლობის მინისტრის წესით.

14) ჩვენ საზოგადოებამ ვიხურვეთ ამ გვარი შინაგანი პირობის ძალით თუ ჩვენ საზოგადოებაში შემოვიდა სხვა საზოგადოების პირი და მოითხოვა დაკმაყოფილება, მაშინ თუ იმის საზოგადოებაში არსებობს ამისთანა პირობა, მაშინ დაკმაყოფილდეს ამის ძალით თუ არა და მაშინ მიიღებს კმაყოფილებას საზოგადო კანონის ძალით.

15) ჩვენ ვთხოვთ მმართებლობას გამოიწეროს რამოდენიმე ბლანკის ბილეთები პირუტყვების ნიშნების ჩასაწერათ, რათა ყიდვა გაცემაში გადავცეთ ეს ბილეთები მყიდველ პირს, და თუ კი ამ გვარი ბილეთი არ ექნება პატრონს, მაშინ იგი უნდა ჩამოერთვას და გაიყიდოს ხაზინის სასარგებლოთ.

16) აგრეთვე ცეფებნი ვალდებულნი არიან თანასწორ მცხოვრებლებისა უზღონ დაკარგული საქონლები სასულიერო წოდებას და მასწავლებლებს.

17) ცეფებს მიეცემათ ჯამაგირი მაღალ წოდებისაგან მანეთ ნახევარი და დაბალ წოდებისაგან ერთი მანეთი და ანუ სამი ფუთი სიმინდი ერთი წლის ვადით.

18) ცეფები ვინაიდგან ღებულობენ ამისთანა სასყიდელს საზოგადოებისაგან ვალდებულნი არიან უზღონ პატრონებს 1 ივნისიდგან დაკარგული ნივთები ანუ საქონელი ერთი თვის განმავალობაში და მათ ნება აქვთ ეძიონ ქურდი 1, 2 და 3 პარაგრაფის ძალით.

19) საქონლის პატრონები ვალდებულნი არიან მეორე დღესვე შეატყობინონ თავის საქონლის დაკარგვაზედ ცეფების უფროსს.

20) გარედან შემოსულ სტუმარს თუ დაეკარგა თავის მასპინძლის სახლში ცხენი, თუ სხვა საქონელი მაშინ ვალდებულნი ა იან ცეფები უზღონ პატრონს თანასწორ ჩვენის საზოგადოების მცხოვრებისა.

21) თუ ვინმე სტუმართაგანმა მოიპარა ამა საზოგადოებიდგან საქონელი, მაშინ ამის მასპინძელი ვალდებული არის წარმოადგინოს თავის სტუმარი პასუხის საგებლათ ამა წესდებულობის ძალით და თუ ეს ვერ შესძლო, მაშინ თვითონ პასუხს აგებს.

22) ვინც იქნებიან საზოგადოებისაგან ამორჩეულნი ცეფებათ და უარს ჰყოფენ, იხდიან საზოგადოების სასარგებლოთ ოც-და-ათ მანეთს შტრაფს.

23) რადგან საზოგადოების უფლის მქონებელთ ხშირათ სცდება თავის საქმეებს სასყიდლათ იმისა, მიიღებს გამტყუნებული პირისაგან რამდენს ვადაახდევინებს იმოდენი ათისთავს.

24) საქმის გამრჩეველნი ვალდებულნი არიან კერძო წიგნში ჩასწერონ თუ ვიზე შეადგინეს განჩინება და ან რაზე, თუ ვინ დაამტკიცეს ან ვინ იყვნენ მოწმეები, რათა შემდგომისთვის ცხადათ იყოს თუ ვინ რა საქმეზედ იყო შეწამებული და ან გამტყუნებული.

25) შეწამებული პირი თუ სამჯერ დაბარებით არ გამოჩნდა სასამართლოში, მაშინ მართველნი პირნი შეადგენენ დაუსწრებელ განჩინებას ვითარცა ნამდვილ ქურდზედ, თუ არ წარმოადგინა ნამდვილი საბუთები თავისი მოუსვლელობის.

26) შეწამებულმა პირებმა უნდა იშოვონ მოწმეები პირები თავის გასამართლებლათ თავის საზოგადოების მცხოვრებლებისაგან და ანუ მის მახლობელი საზოგადოებისაგან, მაგრამ მოწმეები უნდა იქნენ პატიოსნების და სიმართლის მქონე პირები.

27) განჩინების გამოცხადების შემდეგ ოც-და-ერთი დღის განმავლობაში შეწამებულმა პირმა უნდა ფიცი შეასრულოს და თუ ვერ შეასრულა განჩინება უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში ყოველ მიზეზის გარეშე.

28) თუმცა რომელიმე ჩვენ ოფიცრის პირს შეუდგეს განჩინება თანახმად 1, 2 და 3 მუხლისა და შეასრულოს და ან არ გახდეს ყაბული, მაშინ იმ გვარი პირი იქნება მტყუანი ვითარცა ნამდვილი ქურდი და არცა ნება აქვს განაგრძოს საჩივარი უმაღლესი სასამართლოს წინაშე.

## ნარევი

—

ერთს ამერიკელს მხეცების სახლი ჰქონდა გამართული და რადგან საქმეები ცუდად მისდიოდა, შემდეგი ხერხი იხმარა: გამოაცხადა, რომ ჩემი სწავლული სპილო თავის ბენეფისისათვის დაუკრავს რამდენსამე ხმას მშვენიერს ფორტეპიანოზედაო.

ცირკი ხალხით გაივსო, ფული მრავალი შემოვიდა. წარმოდგენის გათავების დროს შემოიტანეს მართლა მშვენიერი ფორტეპიანო და ახადეს ხუფი; ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა; შემოიყვანეს სპილო, რომელმაც ხალხს მდაბლად თავი დაუკრა, შემდეგ მივიდა საკრავთან და დააწყო თავისი თათები მაზედ. უეცრად სპილომ საშინელი ბღავილი მორთო, ასე რომ მსმენელებს ცოტა არ იყოს ყრუანტელმა გაურბინა. შემოვიდა თითონ პატრონი და ყური სპილოს ტუჩთან მიიტანა თითქო სპილოს აზრის გაგება სურსო და შემდეგ გამოუცხადა საზოგადოებას, რომ სპილოს დღეს ფორტეპიანოზედ დაკვრა არ შეუძლიან, რადგან იმან იცნო, რომ ამ საკრავის ძვლები მისის დედის კბილებისაგან არიან გაკეთებულნიო.

***

6 ივლისს პარისში, მუშების უბანში დიდი დღესასწაული იყო; იქ ურიგებდენ ჯილდოებს საუკეთესო მოსაკრავეებს. ამ დღესასწაულზედ თავსმჯდომარეთ გამბეტტა იყო. როდესაც გამბეტტა მოვიდა, მემუსიკეებმა მარსელიეზა დაუკრეს და ასი-ათასზედ მეტმა კაცმა შესძახეს: „გაუმარჯოს გამბეტტას, გაუმარჯოს რესპუბლიკასო!“ ხალხიდამ რამდენიმე პატარა ქალები გამოვიდნენ, რომელთაც ზოგს თეთრი კაბა ეცვა, ზოგს ლურჯი, ზოგს წითელი (ეს სამი ფერი საფრანგეთის დროშის ფერია). ერთმა ლამაზმა პატარა ქალმა შემდეგი სიტყვა უთხრა გამბეტტას: „ნება უბოძეთ, ბ. თავსმჯდომარე, პატარა რესპუბლიკელ ქალებს თავიანთ გულის პასუხი მოგახსენონ. ისინი ადიდებენ იმ კაცის სახელს, რომელიც, როგორც ყოველ დღე გვესმის, ასე ცდილობს ყველას ბედნიერებისათვის. ნება მიბოძეთ, რომ მადლობა მოგახსენოთ ყველა პატარა რესპუბლიკელის ქალების მაგიერად“.

## განცხადებანი

—

ჯანჯულაზოვების დიდს მაღაზიაში საქონლის გასყიდვა კიდევ არ გათავებულა; მუდამ დღე არის ვაჭრობა დილის 9 საათიდამ ვიდრე 12-მდინ, თვითონ მაღაზიაში და იმის ეზოში, მუხრანსკის სახლებში.

(4—3)



მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული წამალი ნაოფლარისა, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირათ ფეხის თითების შუა,



## გალმანინი

(Гальманинъ)

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაქის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაციის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაქში ქ. ვარშავაში, ელექტორალის ქუჩაზე, № 35.

დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავაში 50 კაპ. ღირს, პატარა—30 კაპ.

უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ.

გ. კარპინსკი.

(25—19)

ციტრატ - მაგნეზია — წყურვილის მოსასპობელად

მოიკითხეთ ინგლისის მაღაზიაში.

(25—4)

## ინგლისის მაღაზია

*Maison de confianse*

შეადარეთ ჩვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოსკოვის ჩაის—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— ,, |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— ,, | — —3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მა[illegible], [illegible]ბი, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში, კლენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ხდის.

(100—5)

შემთხვევით ისყიდება

## ადგილი

რომელზედაც ამ ჟამად ბაღია გაშენებული და რომელიც სამოსახლოთ გამოდგება. ეს ადგილი მდებარებს წყლის-პირა ქუჩაზედ, საზაფხულო კრუჟოკთან, სიგრძით 17 საჟენი და სიგანით 50 საჟენი. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გაიყოს და ისე გაიყიდოს.

ფასისა და დაწვრილებით პირობების შესატყობლად ჰსურველს შეუძლიან მიმართოს ბ. ლიპინსკის, ელისავეტის ქუჩაზე, სახლის № 132.

(10—5)

დაიბეჭდა და ისყიდება ვართანოვის წიგნის მაღაზიაში

## ალექსი

ზღაპარი აკაკისა

ფასი თითო წიგნისა 20 კ.

„დროების“ ფოჩტა

ქ—ს. ს. გ. ა. განკაბას თქვენთვის პოეზიის სამთავროში ადგილი არ მოუზომავს. გირჩევთ ლექსებს თავი დაანებოთ...

გ—ს. ზ. ხ—ს. უკანასკნელი თქვენი წერილი არ დაიბეჭდება, რადგანაც შემცდარს აზრს იცავს. გთხოვთ ამით ნუ დაგვემდურებით და კვლავაც გამოგვიგზავნოთ ცნობები.

ს—ღს. მ. ნ—ს. გთხოვთ თქვენგან დასახელებული წიგნები გამოგვიგზავნოთ.

თ—ს. ი. ლ—ს. თქვენი წოდების წევრნი რომ ყველა თქვენისთანა ჭკუაზრდილობის იყოს, მაშინ სათქვენოდ ტაქციის შემოღებას კი არა „მაგრატლისას“ ვინატრიდით....

ტ—ს. ნ. ფ—ს. „არა შეჯდა მწყერი ხესა არა იყო გვარი მისი.“

## გაყიდვა

სხვა-და-სხვა ხარისხის ფქვილისა

ოდესის საორთქლო წისქვილიდამ

## ძმათა ანატრათა

საწყობი იმყოფება:

1) პოპოვის სახლში № 13, ავჭალის ქუჩაზე.

2) თამამშევის სახლში ბარონის ქუჩაზე

(3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Августа 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი